სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 *თებერვალი, 2026 წელი*

ბრძანება №01-02/30

ბსუ-ს ადმინისტრაციულ, დამხმარე და შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტის პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, **საქართველოს შრომის კოდექსის,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/41 გადაწყვეტილებით დამტკიცებული *„ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის"*; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **შინაგანაწესის**", ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/58 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის", „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციულ, დამხმარე და ბსუ-ს შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ფორმები, წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად:
   1.1. **დანართი** №1 - ბსუ-ს **ადმინისტრაციულ თანამდებობის** პირთან გასაფორმებელი შრომის ხელშეკრულების ფორმა (ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული თანამდებობები: რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი);
   1.2. **დანართი** №2 - ბსუ-ს **დამხმარე თანამდებობის** პირთან გასაფორმებელი შრომის ხელშეკრულების ფორმა (ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დანიშნული/მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში: რექტორის აპარატი; აკადემიური საბჭოს სამდივნო; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამდივნო);
   1.3. **დანართი** №3 - ბსუ-ს შიდა **მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის პერსონალთან გასაფორმებელი** შრომითი ხელშეკრულების ფორმა (პროექტის მენეჯერი/ხელმძღვანელი; ძირითადი პერსონალი/ახალგაზრდა მკვლევრის ასისტენტი; დამხმარე პერსონალი).
2. „ბსუ-ს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გასაფორმებელი შრომის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის №01-02/237 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.**
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/ რექტორის ბრძანებები).
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ–ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს,

საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს ადმინისტრაციულ, დამხმარე და შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტის პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №01-02/30 *ბრძანების დანართი №1*

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"/„უნივერსიტეტი"/„**დამსაქმებელი"**), წარმოდგენილი რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული"**) ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია **ბსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე - ,,----------'' დასაქმებულთან** შრომითი ურთიერთობის რეგულაცია (შემდეგში - ,,შრომითი საქმიანობა").

1.2. დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები (სამუშაო აღწერილობა) განისაზღვრება ბსუ-ს წესდებით/წესდების შესაბამისად შემუშავებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით/ბსუ-ს მართვის ორგანოს მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტით და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით.

1.3. დასაქმებულის შრომის პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით და ბსუ-ს **შინაგანაწესით**, რომელიც წარმოადგენს ამ შრომითი ხელშეკრულების ნაწილს და რომელსაც გაეცნო დასაქმებული ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე. დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას შინაგანაწესი და ბსუ-ს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მისი ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.4. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.5. **დასაქმებულის სამუშაო ადგილია** უნივერსიტეტის ფუნქციონირების/საქმიანობის ადგილი, დასაქმებულის მიერ დაკავებული თანამდებობისა და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით (უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მის მფლობელობაში

არსებულ ფართში - შენობა-ნაგებობები და ტერიტორია ქალაქ ბათუმში, მათ შორის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, რუსთაველის/წინოშვილის ქ. №32/35-ში მდებარე სამი კორპუსი (№1 - №3), ბათუმის სხვადასხვა მისამართზე, ასევე ქობულეთში მდებარე კორპუსები და მიწის ნაკვეთები).

1.6. შრომითი ურთიერთობები, რომლებიც არ წესრიგდება ბსუ-ს შინაგანაწესით და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი: ----------)

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის **გაცნობილია** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ ბსუ-ს სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge და **იღებს ვალდებულებას:**

ა) სამუშაო შეასრულოს პირადად, დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დაკავებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სპეციალური მითითებების გარეშე განუხრელად დაიცვას უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულების და ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

გ) გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს კანონიერების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმის და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებით;

დ) რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;

ე) სამუშაო პროცესში უზრუნველყოს მის ხელთ არსებული/მისთვის ცნობილი კომერციული, პროფესიული, პერსონალური და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესაბამისად;

ვ) დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო;

ზ) დაიცვას უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;

თ) გაუფრთხილდეს, დაიცვას, რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები და იზრუნოს მისთვის გადაცემული ქონების (ინვენტარის/რესურსის) მოვლა-პატრონობაზე;

ი) აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ბსუ-ს შინაგანაწესით;

კ) შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და სხვა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით.

2.2. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია;
გ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულებების გამოყენების უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, წინამდებარე შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
დ) მიიღოს შრომის ანაზღაურება, ბსუ-ს სამართლებრივი აქტით დადგენილი ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
ე) ისარგებლოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების შესახებ რეგულაციის შესაბამისად;
ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და საუნივერსიტეტო სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ფუნქცია-მოვალეობების პირადად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, დასაქმებულის შრომით საქმიანობაზე განახორციელოს სამსახურებრივი ზედამხედველობა/მონიტორინგი, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის და საუნივერსიტეტო სხვა რეგულაციების შესაბამისად;
ბ) დასაქმებულის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების ან/და წახალისების მიზნით შეაფასოს დასაქმებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;
გ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, ხოლო დისციპლინური გადაცდომისას - დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობის, შინაგანაწესის, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;
დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის მიერ გადმოცემული პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;
ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.4. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;
ბ) ხელი შეუწყოს აკადემიური თავისუფლების და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის მიერ კუთვნილი შვებულებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობას;
დ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წინამდებარე შრომის ხელშეკრულების შესაბამისად;
ე) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;
ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, დასაქმებულის უფლებების რეალიზებისათვის.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს საშტატო განრიგით (ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო/ხელფასი)/წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით და შეადგენს **თვეში - ---------- ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია (----------
თანამდებობაზე <u>დანიშვნის/არჩევის</u> შესახებ სამართლებრივი აქტის <u>ძალაში შესვლის დღიდან</u> - ----------) განუსაზღვრელი ვადით/უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე,
4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) თანამდებობაზე დანიშვნის/არჩევის შესახებ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის/შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;
გ) მხარეთა შეთანხმება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება და სხვა დებულებები

5.1. დასაქმებული წინამდებარე <u>ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **აცხადებს თანხმობას,**</u> ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით <u>დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები,</u> ბსუ-სთან შრომითი ურთიერთობის ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.
5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე **ხელმოწერით ადასტურებს, რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა

საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება <u>და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.</u>

5.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

5.5. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“	**„დასაქმებული“**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სახელი და გვარი _____
	პ/ნ: _____
	მისამართი: _____
ს/კ _____	_____
	ტელ: _____
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35	Email: _____
	საბანკო რეკვიზიტები: _____
ბსუ-ს რექტორი	
_____	_____
ხელმოწერა	ხელმოწერა

,,ბსუ-ს ადმინისტრაციულ, დამხმარე და შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტის პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №01-02/ 30 *ბრძანების დანართი №2*

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"/„უნივერსიტეტი"/„**დამსაქმებელი"**), წარმოდგენილი რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული"**) ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია **ბსუ-ს დამხმარე თანამდებობაზე - „----------" დასაქმებულთან** შრომითი ურთიერთობის რეგულაცია (შემდეგში - ,,შრომითი საქმიანობა").

1.2. დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები (სამუშაო აღწერილობა) განისაზღვრება ბსუ-ს წესდებით/წესდების შესაბამისად შემუშავებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით/ბსუ-ს მართვის ორგანოს მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტით და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით.

1.3. დასაქმებულის შრომის პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით და ბსუ-ს **შინაგანაწესით**, რომელიც წარმოადგენს ამ შრომითი ხელშეკრულების ნაწილს და რომელსაც გაეცნო დასაქმებული ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე. დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას შინაგანაწესი და ბსუ-ს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მისი ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.4. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.5. **დასაქმებულის სამუშაო ადგილია** უნივერსიტეტის ფუნქციონირების/საქმიანობის ადგილი, დასაქმებულის მიერ დაკავებული თანამდებობისა და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით (უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მის მფლობელობაში არსებულ ფართში - შენობა-ნაგებობები და ტერიტორია ქალაქ ბათუმში, მათ შორის

იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35-ში მდებარე სამი კორპუსი (№1-№3), ბათუმის სხვადასხვა მისამართზე, ასევე ქობულეთში მდებარე კორპუსები და მიწის ნაკვეთები).

1.6. შრომითი ურთიერთობები, რომლებიც არ წესრიგდება ბსუ-ს შინაგანაწესით და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების **საფუძველი:** ----------)

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

1.7. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის **გაცნობილია** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ ბსუ-ს სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge და **იღებს ვალდებულებას:**

ა) სამუშაო შეასრულოს პირადად, დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დაკავებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სპეციალური მითითებების გარეშე განუხრელად დაიცვას უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულების და ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

გ) გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს კანონიერების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმის და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებით;

დ) რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;

ე) სამუშაო პროცესში უზრუნველყოს მის ხელთ არსებული/მისთვის ცნობილი კომერციული, პროფესიული, პერსონალური და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესაბამისად;

ვ) დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო;

ზ) დაიცვას უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;

თ) გაუფრთხილდეს, დაიცვას, რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები და იზრუნოს მისთვის გადაცემული ქონების (ინვენტარის/რესურსის) მოვლა-პატრონობაზე;

ი) აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ბსუ-ს შინაგანაწესით;

კ) შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და სხვა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით.

1.8. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი

იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია;
გ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულებების გამოყენების უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, წინამდებარე შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
დ) მიიღოს შრომის ანაზღაურება, ბსუ-ს სამართლებრივი აქტით დადგენილი ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
ე) ისარგებლოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების შესახებ რეგულაციის შესაბამისად;
ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და საუნივერსიტეტო სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ფუნქცია-მოვალეობების პირადად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, დასაქმებულის შრომით საქმიანობაზე განახორციელოს სამსახურებრივი ზედამხედველობა/მონიტორინგი, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის და საუნივერსიტეტო სხვა რეგულაციების შესაბამისად;
ბ) დასაქმებულის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების ან/და წახალისების მიზნით შეაფასოს დასაქმებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;
გ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, ხოლო დისციპლინური გადაცდომისას - დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობის, შინაგანაწესის, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;
დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის მიერ გადმოცემული პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;
ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.4. დამსაქმებელი ვალდებულია:
ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;
ბ) ხელი შეუწყოს აკადემიური თავისუფლების და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას;
გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის მიერ კუთვნილი შვებულებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობას;

დ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წინამდებარე შრომის ხელშეკრულების შესაბამისად;
ე) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;
ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, დასაქმებულის უფლებების რეალიზებისათვის.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს საშტატო განრიგით (ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო/ხელფასი)/წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით და შეადგენს **თვეში - ---------- ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია (---------- თანამდებობაზე დანიშვნის/არჩევის შესახებ სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან - ----------) განუსაზღვრელი ვადით/უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე;
4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) თანამდებობაზე დანიშვნის/არჩევის შესახებ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის/შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;
გ) მხარეთა შეთანხმება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ბსუ-სთან შრომითი ურთიერთობის ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.
5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე **ხელმოწერით ადასტურებს, რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება და ანიჭებს დამსაქმებელს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.

5.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.
5.5. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“	**„დასაქმებული“**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სახელი და გვარი _____
	პ/ნ: _____
ს/კ _____	მისამართი: _____
	_____
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35	ტელ: _____
	Email: _____
	საბანკო რეკვიზიტები:
ბსუ-ს რექტორი	_____
_____	_____
ხელმოწერა	ხელმოწერა

,,ბსუ-ს ადმინისტრაციულ, დამხმარე და შიდა მიზნობრივი კვლევითი პროექტის პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №01-02/30 *ბრძანების დანართი №3*

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"/„უნივერსიტეტი"/„დამსაქმებელი"), წარმოდგენილი რექტორის _____ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის _____ მიერ და

მეორე მხრივ, _____ _____ (შემდეგში **„დასაქმებული"**) ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. **ხელშეკრულების საგანია** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№-----, 00/00/0000 წ.) დამტკიცებულ ბსუ-ს მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში ,,----------„ (შემდეგში - ბსუ-ს მიზნობრივი პროექტი) **დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის რეგულაცია** (შემდეგში - ,,შრომითი საქმიანობა") შემდეგ პოზიციაზე და ფუნქციების შესასრულებლად:

1.1.1. **პოზიცია** ბსუ-ს მიზნობრივ პროექტში - ----------;

1.1.2. **შესასრულებელი ფუნქცია (ები): ----------**

(საფუძველი: პროექტის ხელმძღვანელის/მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (№-----, 00/00/0000 წ. ; ----------;)

1.2. დასაქმებულის შრომის პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით და ბსუ-ს **შინაგანაწესით**, რომელიც წარმოადგენს ამ შრომითი ხელშეკრულების ნაწილს და რომელსაც გაეცნო დასაქმებული ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე. დასაქმებული ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას შინაგანაწესი და ბსუ-ს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მისი ფუნქცია-მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

1.3. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება):

ა) შრომითი ურთიერთობის შესახებ ზოგადი დებულებები (მიღება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა); შრომითი ურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული/დამსაქმებელი) უფლება-მოვალეობები; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; პერსონალის შეფასების წესი; სამუშაო დღის/კვირის და შესვენების/დასვენების ხანგრძლივობა; სამუშაოს დაწყების და დამთავრების დრო; სამუშაო დროის აღრიცხვა; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი (ზეგანაკვეთური სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება ხორციელდება ხელფასის/თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების საშუალო საათობრივი განაკვეთის 1.5-ის ოდენობით, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად); სამსახურში დაგვიანების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; პერსონალის წახალისების და დისციპლინური საქმისწარმოების წესი; დასაქმებულის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

ბ) უნივერსიტეტში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი.

1.4. **დასაქმებულის სამუშაო ადგილია** უნივერსიტეტის ფუნქციონირების/საქმიანობის ადგილი, დასაქმებულის მიერ დაკავებული თანამდებობის/შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით (უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მის მფლობელობაში არსებულ ფართში - შენობა-ნაგებობები და ტერიტორია ქალაქ ბათუმში, მათ შორის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35-ში მდებარე სამი კორპუსი (№1-№3), ბათუმის სხვადასხვა მისამართზე, ასევე ქობულეთში მდებარე კორპუსები და მიწის ნაკვეთები).

1.5. შრომითი ურთიერთობები, რომლებიც არ წესრიგდება ბსუ-ს შინაგანაწესით და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

(შრომითი ხელშეკრულების გაფორმების **საფუძველი:** ----------)

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებული აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის **გაცნობილია** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულებას“**, შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ ბსუ-ს სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge და **იღებს ვალდებულებას:**

ა) სამუშაო შეასრულოს პირადად, დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დაკავებული თანამდებობისათვის/დასაქმებულის პოზიციისათვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების და მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სპეციალური მითითებების გარეშე განუხრელად დაიცვას უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულების და ფუნქცია-მოვალეობების/შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

გ) გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს კანონიერების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმის და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებით;

დ) რეგულარულად შეამოწმოს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა/ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ელექტრონული რესურსები და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რეაგირება/აქტივობა;

ე) სამუშაო პროცესში უზრუნველყოს მის ხელთ არსებული/მისთვის ცნობილი კომერციული, პროფესიული, პერსონალური და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რეგულაციებისა და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ შესაბამისად;

ვ) დაიცვას შრომის დისციპლინა და რაციონალურად გამოიყენოს სამუშაო დრო;

ზ) დაიცვას უნივერსიტეტში ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესები; თანამშრომლებთან კომუნიკაციისას გამოიჩინოს თავაზიანობა და კოლეგიალობა, დაეხმაროს ნაკლები გამოცდილების მქონე ან ახალდასაქმებულ კოლეგას ადაპტირდეს სამუშაო გარემოში;

თ) გაუფრთხილდეს, დაიცვას, რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით (დანიშნულებისამებრ) გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები და იზრუნოს მისთვის გადაცემული ქონების (ინვენტარის/რესურსის) მოვლა-პატრონობაზე;

ი) აცნობოს დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის გამომრიცხავი იმ გარემოებების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ბსუ-ს შინაგანაწესით;

კ) შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და სხვა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით.

2.2. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) გაეცნოს ყველა სამართლებრივ აქტს და დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

ბ) მოითხოვოს შრომისათვის სათანადო გარემო, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან; მიიღოს და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსი, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაცია;

გ) ისარგებლოს სამუშაოზე შესვენების დროით, სამუშაოზე გამოცხადებისათვის დადგენილი შეღავათებით, დასვენების/უქმე დღეებით, მივლინების, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულებების გამოყენების უფლებებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის, წინამდებარე შინაგანაწესის, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) მიიღოს შრომის ანაზღაურება, ბსუ-ს სამართლებრივი აქტით დადგენილი ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და საუნივერსიტეტო სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ფუნქცია-მოვალეობების პირადად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, დასაქმებულის შრომით საქმიანობაზე განახორციელოს სამსახურებრივი ზედამხედველობა/მონიტორინგი, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის და საუნივერსიტეტო სხვა რეგულაციების შესაბამისად;

ბ) დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები, საქართველოს კანონმდებლობის, შინაგანაწესის, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების შესახებ სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;

გ) დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში გამოიყენოს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობის, შინაგანაწესის, სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;

დ) გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის მიერ გადმოცემული პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის მიზნებისათვის, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის ან/და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან.

2.4. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შექმნას და დაიცვას დასაქმებულის შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები; შეუქმნას დასაქმებულებს ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო, არ დაუშვას დისკრიმინაცია; უზრუნველყოს უნივერსიტეტში გენდერულ თანასწორობასა და ოჯახის ღირებულებაზე ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული გარემოს არსებობა;

ბ) ხელი შეუწყოს აკადემიური თავისუფლების და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას;
გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობას;
დ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გაცემა, საქართველოს კანონმდებლობის, საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
ე) უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კარიერული წინსვლისა და განვითარების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დასაქმებულის პროფესიულ/კვალიფიკაციის ზრდას, მის ხელთ არსებული შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში;
ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, დასაქმებულის უფლებების რეალიზებისათვის.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის გეგმა-გრაფიკის/ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით და შეადგენს ---------- ---------- **ლარს;**
3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელის/მენეჯერის (სახელი, გვარი, დაკავებული პოზიცია ბსუ-ში) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორებით, დასაქმებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან (----------) და მოქმედებს ---- ----------**წლის** ------- **ჩათვლით.**
4.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) დასაქმებულის განცხადება;
ბ) მხარეთა შეთანხმება;
გ) საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულებით" ან ბსუ-ს სხვა აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება **და სხვა დებულებები**

5.1. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, ბსუ-სთან შრომითი ურთიერთობის ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.
5.2. დასაქმებული ხელშეკრულებაზე **ხელმოწერით ადასტურებს, რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის

შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება **<u>და ანიჭებს დამსაქმებელს</u>** <u>აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების უფლებას.</u>

5.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

5.5. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი“	**„დასაქმებული“**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სახელი და გვარი _____
ს/კ _____	პ/ნ: _____
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35	მისამართი: _____
	_____
	ტელ:_____
ბსუ-ს რექტორი	Email:_____
_____	**საბანკო რეკვიზიტები:**
ხელმოწერა	_____
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	_____
_____	დასაქმებულის ხელმოწერა
ხელმოწერა	